



CCIIR

წლიური ანგარიში
2014



შინაარსი

CCIIR - ის შესახებ	3
2014 წელს განხორციელებული პროექტები	
❖ „განათლების დაფინანსების სისტემა და თანასწორობა საქართველოში“	5
❖ „მასწავლებელთა განათლება - მულტიკულტურული სწავლებისთვის მომზადება“	8
❖ „ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“	11
❖ "თანამედროვე ტექნოლოგიები წიგნიერების განვითარებისთვის საქართველოში"	20
მიმდინარე პროექტები	
❖ „ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის“	23
❖ „მულტილინგვური განათლების მასწავლებელთა მომზადების პროგრამის შემუშავება და დანერგვა უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტებში“ (DIMTEGU).....	25
❖ „მულტიკულტურული განათლებისა და მრავალფეროვნების სწავლების საერთაშორისო კურსკულუმის შექმნა" (DOIT)	28
❖ "მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში"	30
სხვა აქტივობები	33
ორგანიზაციული სტრუქტურა	34
პარტნიორები და დონორი ორგანიზაციები	35

CCIIR - ის შესახებ

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" 2005 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროექტს განათლების მიმართულებით და მუშაობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის განვითარების ხელშესაწყობად. ორგანიზაცია აგრეთვე გამოსცემს პუბლიკაციებს, მათ შორის პოლიტიკის დოკუმენტებს, მეთოდოლოგიურ მასალებს მასწავლებლებისთვის, ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, თვითმასწავლებლებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს და სხვა.

ორგანიზაციის მისია და ხედვა:

ადამიანთა უფლებების დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხებია. ამასთან, დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი პრინციპი მოქალაქეების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის/ჩართულობის ხარისხით განისაზღვრება. მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა (სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკური დოვლათის და კულტურული ღირებულებების შექმნა) და ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც კარგად არის ინფორმირებული სახელმწიფოში არსებულ სიტუაციის შესახებ ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მისიაა.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

- სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად შესაბამისი პროექტების, პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- უმცირესობათა უფლებების დაცვა;
- ინფორმაციის გავრცელება უმცირესობების უფლებების შესახებ;
- ეთნიკური უმცირესობების ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ;
- საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
- ეთნიკურ უმცირესობათა ადამიანური რესურსების მობილიზება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა;
- განათლების რეფორმის მხარდაჭერა და უმცირესობების უფლებების განსაზღვრა მათი მიმდინარეობისას;
- საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- ლინგვისტური ველის ფორმირების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ენის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ბილინგვური სწავლებისა და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების ხელშეწყობა;
- ეროვნებათშორისო დიალოგის ხელშეწყობა;

- დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრაციის, ინტეგრაციისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;
- კონფლიქტების პრევენციის და გადაწყვეტის ხელშეწყობა;
- უმცირესობათა ენების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ლტოლვილთა, დევნილთა და სხვა შეჭირვებული მოსახლეობის შესახებ ონფორმაციის გავრცელების, მათი უფლებების დაცვის, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფები:

სომხებისა და აზერბაიჯანელების ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში; ეთნიკური უმცირესობის სკოლები საქართველოში, სადაც სწავლების ენას წარმოადგენს არა ქართული, არამედ აზერბაიჯანული და სომხური; საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები/ფონდები, დონორები, მედია.

CCIIR - ის პროგრამები და პრიორიტეტები:

1. მულტილინგუური/მულტიკულტურული საგანმანათლებლო პროექტები
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
3. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება
4. მოზრდილთა განათლება
5. წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება
6. განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი

პროექტი

„განათლების დაფინანსების სისტემა და თანასწორობა საქართველოში“

დონორი	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
ორგანიზაცია	სააგენტო (USAID)
	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამა
	„საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო
	საზოგადოების განვითარება საქართველოში“

პროექტის მიზანია საქართველოს განათლების სისტემაში სოციალური თანასწორობის მხარდაჭერა; არსებული ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ეფექტურობისა და განათლების სისტემაში მისი შედეგების კვლევა; აგრეთვე კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები პოზიტიური ცვლილებებისათვის.

პროექტის ამოცანები:

- სკოლების დაფინანსების ფორმულისა და მისი ერთ მოსწავლეზე გადანაწილების შედარებითი კვლევის ინიცირება.
- მეცნიერების, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობის გაზრდა საჯარო პოლიტიკის გაუმჯობესებისა და მისი ადვოკატირების პროცესში.
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით/შედეგებზე დაყრდნობით დაფინანსების ალტერნატიული ფორმულის შემუშავება, რომელიც მორგებულია სკოლების რეალურ საჭიროებებს.
- რეკომენდაციების შემუშავება სკოლების დაფინანსების სისტემის გაუმჯობესებისთვის თანასწორობის კონტექსტში.
- რეკომენდაციების გაცნობა პოლიტიკის განხორციელების პროცესში ჩართული ადამიანებისთვის.
- დაფინანსების სისტემაში, თანაბარი შესაძლებლობების კუთხით, პოზიტიური ცვლილებების ინიცირება სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან.

პროექტის ბენეფიციარები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული ცენტრები
- ✓ 470 - ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლის დირექტორი საქართველოს მასშტაბით
- ✓ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე 24 მოსწავლე და 24 მასწავლებელი

არაპირდაპირი ბენეფიციარები:

- ✓ 2200 - ზე მეტი სკოლა, რომელზეც პოზიტიურ გავლენას მოახდენს პროექტის შედეგები და პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები ახალი ფორმულის შექმნაზე.
- ✓ დაახლოებით 560 000 მოსწავლე და 78 000 მასწავლებელი, რომელიც ისარგებლებს უკეთესი დაფინანსების სისტემით და ექნება ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.
- ✓ მკვლევარები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, განათლების სპეციალისტები და სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიებში განათლების დაფინანსების პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია:

- ✓ სამაგიდე კვლევა: კვლევის ფარგლებში შერჩეული 440 კერძო და საჯარო სკოლების 2009-2013 წლების ფინანსური დოკუმენტაციის (წლიური ბალანსი; საწყისი ნაშთი წლის დასაწყისში; ხარჯები მუხლების მიხედვით) შედარებითი ანალიზი.
- ✓ რაოდენობრივი კვლევა/დირექტორთა გამოკითხვა: გამოკითხვა 432 სკოლის დირექტორი.
- ✓ თვისებრივი კვლევა/ფოკუსჯგუფები და ინტერვიუები: ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი მშობლებთან, 3 - მოსწავლეებთან და 3 - მასწავლებლებთან; 1 ფოკუსჯგუფი ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან; ასევე ჩატარდა 6 ჩაღრმავებული ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან.



აქტივობები/მიღწევები:



✓ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც განათლების დაფინანსების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

✓ პროექტის შედეგების შესახებ თოქ-შოუები მოეწყო მედიაში. კერძოდ, რადიო თავისუფლებისა და რადიო 1 - ის ეთერში.

- ✓ ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა და გამოიცა კვლევის ანგარიში, რომელიც სრულად მოიცავს განათლების პოლიტიკასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც CCIIR - მა კვლევის ფარგლებში შეისწავლა და იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა.



- ✓ გაიმართა პროექტის შედეგების პერზენტაცია, რომელსაც 50 - მდე დაინტერესებული მხარე დაესწრო.

კვლევის ანგარიშის ელ.ვერსია:

http://cciir.ge/upload/text/geo/1413789181_CCIIR_GEO_11-5pt_edited%20Vouchers%20for%20printing.pdf



<http://radio1.ge/media-view/17725>

<http://www.tavisupleba.org/media/video/26592389.html>

<http://www.tavisupleba.org/content/ganatlebis-sistemis-dafinansebis-kharvezebi/26592520.html>

პროექტი

„მასწავლებელთა განათლება - მულტიკულტურული სწავლებისთვის მომზადება“

დონორი	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
ორგანიზაცია	სააგენტო (USAID)
	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამა
	„საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო
	საზოგადოების განვითარება საქართველოში“

პროექტის მიზანია მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მულტიკულტურალიზმის განვითარების კონტექსტში.

პროექტის ამოცანები:

- მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შესწავლა მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით და მისი შესაბამისობა არსებულ საგანმანათლებლო საჭიროებებთან.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მულტიკულტურული განათლების შესახებ და ყველა დაინტერესებული მხარის მობილიზება პოზიტიური ცვლილებებისთვის.
- რეკომენდაციების შემუშავება მასწავლებელთა მულტიკულტურული კომპეტენციების ასამაღლებლად.

პროექტის ბენეფიციარები:

- საქართველოს განათლების სამინისტრო.
- საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.
- მასწავლებელთა განათლების პროგრამების ფაკულტეტისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების წარმომადგენლები.
- საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 1726 სტუდენტი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.
- დაახლოებით 68 000 სკოლის მასწავლებელი.
- ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტირებული პროგრამები.

კვლევის მეთოდოლოგია:

ორგანიზაციამ შეაფასა, რამდენად ეფექტურია მასწავლებელთა განათლების პროგრამები და რამდენად ფლობენ მასწავლებლები მულტიკულტურული სწავლების კომპეტენციებს იმისათვის, რომ მართონ მრავალფეროვანი კლასი.



ფოკუს ჯგუფი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნათია მოდერატორი, ივნისი, 2014

✓ სამაგიდე კვლევა, რომელიც მოიცავდა: ა) უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მასწავლებელთა განათლების პროგრამების კურიკულუმებისა და სილაბუსების კვლევა. ბ) იმ პროგრამების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების ზოგადი და პროფესიული უნარებისა და საგნის სწავლების კომპეტენციების განვითარებას; ასევე მასწავლებელთა სახლის მიერ 2011 წლიდან განხორციელებული პროგრამებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ 2009-2010 წლებში განხორციელებული პროგრამების შედარებითი ანალიზი. გ) მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტების ანალიზი.

- ✓ პირისპირ ინტერვიუ 332 სტუდენტთან, რომელიც სწავლობს მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.
- ✓ 4 ფოკუს ჯგუფი თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტების მასწავლებელთა განათლების პროგრამების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან.



ფოკუს ჯგუფი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივნისი, 2014

აქტივობები/მიღწევები:

- ✓ ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა და გამოიცა კვლევის ანგარიში, რომელიც სრულად მოიცავს მასწავლებელთა განათლების პროგრამებსა და მულტიკულტურულ სწავლებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც CCIIR - მა კვლევის ფარგლებში შეისწავლა და იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა.
- ✓ პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა 3 სამუშაო შეხვედრა, სადაც კვლევის პირველადი შედეგები განიხილეს.
- ✓ კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო სტუდენტებთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ახალციხის, თელავის, თბილისისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში.
- ✓ გაიმართა პროექტის შედეგების პრეზენტაცია, რომელსაც 50 - მდე დაინტერესებული მხარე დაესწრო.



პროექტის შედეგების პრეზენტაცია ახალციხის უნივერსიტეტში, სექტემბერი, 2014



პროექტის შედეგების პრეზენტაცია, შალვა ტაბატაძე,
CCIIR - ის ხელმძღვანელი, კვლევის ავტორი,
თბილისი, სექტემბერი, 2014

კვლევის ანგარიშის ელ.ვერსია:

<http://cciir.ge/upload/editor/file/jurnali%20%20bilingvuri%20/politikis%20dokumentebi%20/geo/axali/interkulturuli%20umaglesebshi.pdf>

პროექტი

„ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“

დონორი	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
ორგანიზაცია	სააგენტო (USAID); World Vision და ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Australian AID)
	პროგრამა - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს - უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“

პროექტის განხორციელების წლები: 2012-2014

პროექტის მიზანია ორენოვანი წიგნიერების განვითარება ბილინგვური სკოლებისთვის დაწყებით საფეხურზე, რაც შემდგომში მოსწავლეებს დაეხმარებათ როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაზე წარმატების მიღწევაში.

პროექტის კონკრეტული ამოცანებია:

- (ა) 1-6 კლასებისთვის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსწავლეებში ორმაგი წიგნიერების განსავითარებლად;
- (ბ) დაწყებითი კლასებისთვის ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსწავლეებში ორმაგი წიგნიერების განსავითარებლად;
- (გ) არაქართულენოვანი სკოლების შესაძლებლობების გაზრდა მოსწავლეებში ორმაგი წიგნიერების განსავითარებლად;
- (დ) წიგნიერების განვითარების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა არაქართულენოვან სკოლებში.

სამიზნე ჯგუფები:

- I ჯგუფი: 216 ეთნიკური უმცირესობების (არაქართულენოვანი) სკოლები საქართველოში.
- II ჯგუფი: დაწყებითი საფეხურის უმცირესობების სკოლის 432 მასწავლებელი.
- III ჯგუფი: დაწყებითი საფეხურის 30000 მოსწავლე და მათი მშობლები.

აქტივობები/მიღწევები

- ✓ დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტების შექმნა

„კითხვის კიბე“ ათეულობით წელია, წარმატებით გამოიყენება წიგნიერების განვითარებისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ რესურსს ფართოდ იყენებენ სასწავლო და



კლასგარეშე საქმიანობისას როგორც მშობლიურ, ასევე მეორე და უცხო ენის სწავლებაში კითხვის უნარების განვითარებისათვის. დონეზად დაყოფილი ტექსტების სამიზნე ჯგუფი სკოლამდელი, დაწყებითი და ცალკეულ შემთხვევებში საბაზო საფეხურის მოსწავლეები არიან. მასალების პოპულარობამ და შედეგების ეფექტიანობამ „კითხვის კიბის“ ქართულ ენაზე მორგებული მოდელის შემუშავების იდეა წარმოშვა.

ტექსტები შემუშავებულია ქართული და არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა კითხვის დონეთა აღწერითი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე და, შესაბამისად, ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ქართული ენის სპეციფიკას და, მეორე მხრივ, ორენოვან წიგნიერებაზე მუშაობის პრინციპებს. შემუშავებულმა დონეზად დაყოფილმა ტექსტებმა პილოტირება გაიარეს საქართველოს საჯარო სკოლებში. აღნიშნული სასწავლო მასალა კარგ საფუძველს იძლევა ორენოვანი სწავლების რესურსების შექმნისთვის.

„კითხვის კიბე“ 20 თანმიმდევრული საფეხურისგან შედგება და მთლიანობაში 416 ტექსტს მოიცავს. აქედან 220 არის დონეზად დაყოფილი ტექსტი, 116 - სერიული ტექსტი და 80 - ფონეტიკური ტექსტი. ტექსტები იყოფა როგორც საფეხურების მიხედვით, ასევე ჟანრების მიხედვითაც. ამ ტექსტების საშუალებით წარმატებული მკითხველის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარები თანდათანობით, ეტაპობრივად ვითარდება.

„კითხვის კიბის“ სახელმძღვანელოები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.




შედეგები:

- სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებს გადაეცათ "კითხვის კიბის" წიგნები CD ვერსიებთან ერთად.
- თითოეული აზერბაიჯანული სკოლისთვის დაიბეჭდა აზერბაიჯანულენოვანი "კითხვის კიბის" 416 ეგზემპლარი და ქართულის 832 ეგზემპლარი.
- ასევე თითოეული სომხური სკოლისთვის - სომხურენოვანი "კითხვის კიბის" 416 ეგზემპლარი და ქართულის 832 ეგზემპლარი.



"კითხვის კიბის" წიგნების გადაცემა
სკოლებისთვის, 2014

- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის/სწავლების პროცესში და კომპიუტერული პროგრამის შექმნა დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტებისთვის.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ინოვაციურია თავისი შინაარსით და მოხმარების პირობებით. პროგრამა აერთიანებს დონეებად დაყოფილ ბილინგვურ ონლაინ წიგნებს ("კითხვის კიბის" ონლაინ ვერსიას), კითხვის ფორმულას, ტექსტის ანალიზატორს, ელექტრონულ მულტილინგვურ ილუსტრირებულ ლექსიკონს. ელექტრონული პროდუქტების ინტერნეტ ვერსია წარმოდგენილია ვებ-გვერდის www.reading.ge - ის სახით, სადაც სასწავლო და მეთოდური მასალებია განთავსებული.



www.reading.ge



"კითხვის კიბის" ონლაინ ვერსია

კითხვის ფორმულა ქართული ენისთვის

დონეზად დაყოფილი მასალა შემუშავებულია სპეციალური ფორმულის გამოყენებით, რომელიც ტექსტის 4 მახასიათებელს ეფუძნება: 1. წიგნებისა და ნაბეჭდი მასალის მახასიათებლები; 2. თემატურ-შინაარსობრივი მახასიათებლები; 3. სტრუქტურულ-ჟანრობრივი მახასიათებლები; 4. ენობრივ-ლიტერატურული მახასიათებლები.

ეს არის პირველი მცდელობა, შექმნილიყო კითხვის ფორმულა ქართული ენისთვის, რომელიც შემდეგ კრიტერიუმების აერთიანებს:

- სიტყვათა სრული რაოდენობა
- განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობა
- განსხვავებულ სიტყვათა თანაფარდობა სიტყვათა სრულ რაოდენობასთან
- მაღალსიხშირულ სიტყვათა რაოდენობა
- მაღალსიხშირული სიტყვების თანაფარდობა სიტყვების სრულ რაოდენობასთან
- დაბალსიხშირული სიტყვების რაოდენობა
- დაბალსიხშირული სიტყვების თანაფარდობა სიტყვების სრულ რაოდენობასთან
- წინადადების სიგრძე
- წინადადების სირთულე
- ტექსტის პროგნოზირებადობა
- ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება
- გაფორმება
- ნაცნობი თემატიკა.

ფორმულაში გაერთიანებული კრიტერიუმების ურთიერთმიმართება და მათი ცვლილება განაპირობებს წიგნის კონკრეტულ დონეს.

კითხვის ფორმულაზე დაყრდნობით CCIIR - მა შექმნა კომპიუტერული პროგრამა „ტექსტის ანალიზატორი“

პროგრამა დეტალურად აანალიზებს თითოეულ ტექსტს და მის შესაბამისობას კითხვის ფორმულის კრიტერიუმთან. „ტექსტის ანალიზატორს“ აქვს შემდეგი ფუნქციები:

- ითვლის სიტყვაფორმათა რაოდენობასა და ლექსიკურ ერთეულებს ტექსტში
- ითვლის განსხვავებულ სიტყვაფორმათა რაოდენობასა და ლექსიკურ ერთეულებს
- ითვლის განსხვავებულ სიტყვაფორმათა და ლექსიკურ ერთეულთა თანაფარდობას სიტყვათა სრულ რაოდენობასთან
- ითვლის მაღალსიხშირული სიტყვების რაოდენობას
- ითვლის მაღალსიხშირული სიტყვების თანაფარდობას სიტყვების სრულ რაოდენობასთან


წიგნი	სიტყვები	ლექსიკონი	სიტყვები	ლექსიკონი	სიტყვების რაოდენობა	ლექსიკონის რაოდენობა	სიტყვების რაოდენობა	ლექსიკონის რაოდენობა
1. წიგნი	1	1	1	1	1	1	1	1
2. წიგნი	2	2	2	2	2	2	2	2
3. წიგნი	3	3	3	3	3	3	3	3
4. წიგნი	4	4	4	4	4	4	4	4
5. წიგნი	5	5	5	5	5	5	5	5
6. წიგნი	6	6	6	6	6	6	6	6
7. წიგნი	7	7	7	7	7	7	7	7
8. წიგნი	8	8	8	8	8	8	8	8
9. წიგნი	9	9	9	9	9	9	9	9
10. წიგნი	10	10	10	10	10	10	10	10
11. წიგნი	11	11	11	11	11	11	11	11
12. წიგნი	12	12	12	12	12	12	12	12
13. წიგნი	13	13	13	13	13	13	13	13
14. წიგნი	14	14	14	14	14	14	14	14
15. წიგნი	15	15	15	15	15	15	15	15
16. წიგნი	16	16	16	16	16	16	16	16
17. წიგნი	17	17	17	17	17	17	17	17
18. წიგნი	18	18	18	18	18	18	18	18
19. წიგნი	19	19	19	19	19	19	19	19
20. წიგნი	20	20	20	20	20	20	20	20
21. წიგნი	21	21	21	21	21	21	21	21
22. წიგნი	22	22	22	22	22	22	22	22
23. წიგნი	23	23	23	23	23	23	23	23
24. წიგნი	24	24	24	24	24	24	24	24
25. წიგნი	25	25	25	25	25	25	25	25
26. წიგნი	26	26	26	26	26	26	26	26
27. წიგნი	27	27	27	27	27	27	27	27
28. წიგნი	28	28	28	28	28	28	28	28
29. წიგნი	29	29	29	29	29	29	29	29
30. წიგნი	30	30	30	30	30	30	30	30
31. წიგნი	31	31	31	31	31	31	31	31
32. წიგნი	32	32	32	32	32	32	32	32
33. წიგნი	33	33	33	33	33	33	33	33
34. წიგნი	34	34	34	34	34	34	34	34
35. წიგნი	35	35	35	35	35	35	35	35
36. წიგნი	36	36	36	36	36	36	36	36
37. წიგნი	37	37	37	37	37	37	37	37
38. წიგნი	38	38	38	38	38	38	38	38
39. წიგნი	39	39	39	39	39	39	39	39
40. წიგნი	40	40	40	40	40	40	40	40
41. წიგნი	41	41	41	41	41	41	41	41
42. წიგნი	42	42	42	42	42	42	42	42
43. წიგნი	43	43	43	43	43	43	43	43
44. წიგნი	44	44	44	44	44	44	44	44
45. წიგნი	45	45	45	45	45	45	45	45
46. წიგნი	46	46	46	46	46	46	46	46
47. წიგნი	47	47	47	47	47	47	47	47
48. წიგნი	48	48	48	48	48	48	48	48
49. წიგნი	49	49	49	49	49	49	49	49
50. წიგნი	50	50	50	50	50	50	50	50
51. წიგნი	51	51	51	51	51	51	51	51
52. წიგნი	52	52	52	52	52	52	52	52
53. წიგნი	53	53	53	53	53	53	53	53
54. წიგნი	54	54	54	54	54	54	54	54
55. წიგნი	55	55	55	55	55	55	55	55
56. წიგნი	56	56	56	56	56	56	56	56
57. წიგნი	57	57	57	57	57	57	57	57
58. წიგნი	58	58	58	58	58	58	58	58
59. წიგნი	59	59	59	59	59	59	59	59
60. წიგნი	60	60	60	60	60	60	60	60
61. წიგნი	61	61	61	61	61	61	61	61
62. წიგნი	62	62	62	62	62	62	62	62
63. წიგნი	63	63	63	63	63	63	63	63
64. წიგნი	64	64	64	64	64	64	64	64
65. წიგნი	65	65	65	65	65	65	65	65
66. წიგნი	66	66	66	66	66	66	66	66
67. წიგნი	67	67	67	67	67	67	67	67
68. წიგნი	68	68	68	68	68	68	68	68
69. წიგნი	69	69	69	69	69	69	69	69
70. წიგნი	70	70	70	70	70	70	70	70
71. წიგნი	71	71	71	71	71	71	71	71
72. წიგნი	72	72	72	72	72	72	72	72
73. წიგნი	73	73	73	73	73	73	73	73
74. წიგნი	74	74	74	74	74	74	74	74
75. წიგნი	75	75	75	75	75	75	75	75
76. წიგნი	76	76	76	76	76	76	76	76
77. წიგნი	77	77	77	77	77	77	77	77
78. წიგნი	78	78	78	78	78	78	78	78
79. წიგნი	79	79	79	79	79	79	79	79
80. წიგნი	80	80	80	80	80	80	80	80
81. წიგნი	81	81	81	81	81	81	81	81
82. წიგნი	82	82	82	82	82	82	82	82
83. წიგნი	83	83	83	83	83	83	83	83
84. წიგნი	84	84	84	84	84	84	84	84
85. წიგნი	85	85	85	85	85	85	85	85
86. წიგნი	86	86	86	86	86	86	86	86
87. წიგნი	87	87	87	87	87	87	87	87
88. წიგნი	88	88	88	88	88	88	88	88
89. წიგნი	89	89	89	89	89	89	89	89
90. წიგნი	90	90	90	90	90	90	90	90
91. წიგნი	91	91	91	91	91	91	91	91
92. წიგნი	92	92	92	92	92	92	92	92
93. წიგნი	93	93	93	93	93	93	93	93
94. წიგნი	94	94	94	94	94	94	94	94
95. წიგნი	95	95	95	95	95	95	95	95
96. წიგნი	96	96	96	96	96	96	96	96
97. წიგნი	97	97	97	97	97	97	97	97
98. წიგნი	98	98	98	98	98	98	98	98
99. წიგნი	99	99	99	99	99	99	99	99
100. წიგნი	100	100	100	100	100	100	100	100

- ითვლის დაბალსიხშირული სიტყვების რაოდენობას
- განსაზღვრავს ლექსიკური ერთეულების რაოდენობას
- ითვლის დაბალსიხშირული სიტყვების თანაფარდობას სიტყვების სრულ რაოდენობასთან
- განსაზღვრავს წინადადების სიგრძეს
- ახდენს ყველაზე გრძელი წინადადების იდენტიფიცირებას
- ახდენს ყველაზე მოკლე წინადადების იდენტიფიცირებას
- ითვლის წინადადებების რაოდენობას
- ითვლის განსხვავებული ტიპის წინადადებების რაოდენობას
- ითვლის ასოების რაოდენობას სიტყვებში
- ითვლის ყველაზე გრძელ და მოკლე სიტყვებში ასოების რაოდენობას
- ადარებს ტექსტების სხვადასხვა დონეს შორის მონაცემებს ერთმანეთს.


კომპიუტერული პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი ტექსტების რედაქტირებისთვის. ამავე დროს, პროგრამა საშუალებას იძლევა, მკითხველებს გააცნოს სტატისტიკური მონაცემები საკითხავი ტექსტების შესახებ.

ელექტრონული მულტილინგვური ილუსტრირებული ლექსიკონი (ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული) დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტებისთვის

ელექტრონულ ლექსიკონში შესულია ყველა სიტყვა, რომელიც გამოყენებულია დონეებად დაყოფილ ბილინგვურ ტექსტებში. პროგრამა უზრუნველყოფს ქართული სიტყვების თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სიტყვას შესაბამისი ილუსტრაციაც ახლავს თან.




ილუსტრირებული ლექსიკონი
ინტეგრირებული დონეებად
დაყოფილ ტექსტებში




ილუსტრირებული
ლექსიკონი

კომპიუტერული პროგრამა უნიკალური და ინოვაციურია ქართული ენისთვის. ის აანალიზებს არსებით სახელსა და ზმნას, ფუძის იდენტიფიცირების საშუალებით სვამს არსებით სახელს სახელობით ბრუნვაში და ზმნას - ზმნის საწყის ფორმაში.



კითხვის კიბე



კითხვის კიბე

ელექტრონული ლექსიკონი

✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნა

პროექტის ფარგლებში CCIIR - მა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები 8 რაიონში ჩაატარა: ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ახალციხეში, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, დმანისსა და წალკაში. ტრენინგ პროგრამის მიზანი იყო დაწყებითი კლასების ქართულის, როგორც მეორე ენის, აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენისა და სომხურის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებელთა კითხვის უნარების განვითარება, ორენოვანის წიგნიერების განვითარება და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით წიგნიერების განვითარება. ტრენინგები ჩაატარეს ქართულის როგორც მეორე ენის, სომხურისა და აზერბაიჯანული ენების კითხვის სწავლების ტრენერებმა, რომლებიც კონკურსის შედეგად შეირჩნენ. მანამდე მათ ჩაუტარდათ ტრენერთა 3 დღიანი ტრენინგი, სადაც ტრენერებმა მასწავლებელთა ტრენინგ მოდულის დახვეწაში მიიღეს მონაწილეობა.



ტრენერების ტრენინგი, ურეკი, 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგ პროგრამა შეადგენდა 45 საკონტაქტო საათს. მასში მონაწილეობა უმცირესობის სკოლების 433 მასწავლებელმა მიიღო. ყველა მათგანს ჰქონდა პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ტრენინგებს მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების შესახებ, რომ მაგალითად, მასწავლებლებმა თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

ტრენინგების ციკლი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები დაწყებით კლასებში
- დაწყებით კლასებში კითხვის სწავლების სპეციფიკა
- კითხვის სწავლების ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები
- ფონეტიკისა და ფონოლოგიის პრობლემები ქართულ ენაში და მათი გადაჭრის გზები და სტრატეგიები
- ლექსიკის სწავლების მიდგომები და სტრატეგიები
- გაწაფული კითხვა და მისი განვითარების სტრატეგიები
- გაგება/გააზრების განვითარების სტრატეგიები
- "კითხვადობის" ფორმულა ქართული ენისთვის და მისი ფორმირების ელემენტები
- "კითხვადობის" ფორმულაზე დაფუძნებული სასწავლო რესურსების შექმნის ტექნიკა
- ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება მოსწავლეთა კითხვის უნარების განსავითარებლად
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა კითხვის უნარების განსავითარებლად
- სხვადასხვა ენის მასწავლებლების თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები მოსწავლეებში წიგნიერებისა და ორენოვანი წიგნიერების განსავითარებლად

რაიონი/მასწავლებელი	ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელი	აზერბაიჯანული ენის მასწავლებელი	სომხური ენის მასწავლებელი	საერთო რაოდენობა
ბოლნისი	20	18		38
მარნეული	58	51		109
დმანისი	17	18		35
გარდაბანი	14	14		28
წალკა	15		15	30
ახალქალაქი	48		49	97
ნინოწმინდა	35		33	68
ახალციხე	14		14	28
საერთო რაოდენობა:	221	101	111	433

ტრენინგში მონაწილე მასწავლებელთა რაოდენობა რაიონებისა და საგნის სწავლების მიხედვით



არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი, ნინოწმინდა, 2014

არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი, გარდაბანი, 2014

სატრენინგო შეხვედრების განმავლობაში გამოვლინდა შემდეგი ფაქტები:

- (1) მასწავლებელთა დაახლოებით 25% აქვს სახელმწიფო ენის ფლობის პრობლემა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ტრენინგში, თუმცა მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ თავისი ცოდნა პრაქტიკაში. მასწავლებლებს თავად აქვთ ქართულ ენაზე წაკითხულის გააზრების პრობლემა. არსებითად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა აღნიშნულ ჯგუფთან განცალკავებით მუშაობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს ორი ვარიანტი, გადაჭრას მასწავლებლების ქართული ენის ცოდნის პრობლემა: ა) შექმნას ქართული ენის ინტენსიური და ეფექტური კურსები. ენის კურსების შექმნისას მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნას საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მიდგომა. მასწავლებლებს შეუძლიათ დაეუფლონ ქართულ ენას მათი პროფესიული განვითარების თანადროულად. აღნიშნული მიდგომა გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ორგანიზებული ტრენინგების დროს. და მაინც, 45 საკონტაქტო საათი საკმარისი არაა რეალური მიზნების მისაღწევად. სულ ცოტა 360 საკონტაქტო საათის მომცველი, პრაქტიკული, გაცვლითი სატრენინგო პროგრამაა საჭირო ამ მასწავლებლებისათვის, იმისათვის, რომ მათ საკმარისად განვითარონ საკუთარი ენობრივი უნარები. ბ) ჩაანაცვლონ ძველი მასწავლებლები ახალი მასწავლებლებით.
- (2) ქართულის, როგორც მეორე ენის იმ მასწავლებლებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არიან მივლინებული პროგრამის „კვალიფიციური მასწავლებლები ქართული, როგორც მეორე ენის სწავლებისათვის“ ფარგლებში ყველაზე დიდი გამოცდილება და კვალიფიკაცია გააჩნიათ. აღნიშნული მასწავლებლები სხვადასხვა პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობენ. მათი უმეტესი ნაწილი სერტიფიცირებული მასწავლებელია. ისინი მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ტრენინგსა და პროგრამაში, როგორც არის მაგალითად, „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის“, „ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდები და მიდგომები“, „ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურებზე“, „ბილინგვური განათლების მეთოდები“ და სხვა.
- (3) აზერბაიჯანული და სომხური ენის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მუდმივად აღნიშნავენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობას. უმეტესი მათგანი პირველად მონაწილეობდა ზოგადად ტრენინგში. ხოლო ტრენინგი კითხვაზე და კითხვის მეთოდებზე იყო აბსოლუტური სიახლე მონაწილეთა უმრავლესობისათვის.

➡ კვლევა

პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც გულისხმობდა გაგვეჩვენა კითხვის რა ძირითად უნარებს ფლობენ სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები, როგორც მშობლიურ, ისე ქართულ ენებზე. ეს იყო პროექტის საბოლოო კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაგვეჩვენა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ეფექტი და შეგვედარებინა საბაზისო კვლევის



მოსწავლეების ტესტირება,
2014

დროს არსებულ ვითარებასთან. შემაჯამებელი კვლევა ჩატარდა იგივე მეთოდოლოგიით, რითაც ჩატარდა საბაზისო კვლევა 2013 წელს. კერძოდ: ა) ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების 1-6 კლასების მოსწავლეთა ტესტირება ქართულ ენაში კითხვის მიმართულებით; (ბ) ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების 1-6 კლასების მოსწავლეთა ტესტირება მშობლიურ (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენაში კითხვის მიმართულებით; (გ) ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების 1-6 კლასების ქართული ენისა და მშობლიური ენის მასწავლებელთა ტესტირება ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ სპეციალურად შემუშავებული ტესტების შესაბამისად; (ე) გაკვეთილზე დასწრება/ სპეციალურად შემუშავებული გაკვეთილზე დასწრების ფორმის მიხედვით გაკვეთილის ანალიზი. გაკვეთილებზე დასწრების მიზანი იყო, შემოწმებულიყო, რამდენად იყენებენ მასწავლებლები მოსწავლეებთან კითხვის უნარების განსავითარებლად შესაბამის სტრატეგიებს, შეფასების სისტემას, სასწავლო რესურსსა და მასალებს, საინფორმაციო-ტექნოლოგიებს და ა.შ.



<http://www.radiotavisupleba.ge/content/orenovani-tsignierebis-ganvitareba/24809775.html>

<http://www.radiotavisupleba.ge/content/ori-ena/24810733.html>

<http://radio1.ge/media-view/10369>

<http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2hq&seekTime=15-07-2014+14%3A32>

პროექტი

"თანამედროვე ტექნოლოგიები წიგნიერების განვითარებისთვის საქართველოში"

დონორი
ორგანიზაცია

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

პროექტი გულისხმობდა უკვე შემუშავებული დონეებზე დაყოფილი წიგნების სხვადასხვა ტექნოლოგიური აპლიკაციების შექმნას, ისევე როგორც მის გახმოვანებას და კითხვის სისწრაფის გაუმჯობესებაზე ორიენტირებას.

პროექტის მიზანია, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (კომპიუტერები, აიფონები, აიპოდები, ტაბლეთები და სხვა თანამედროვე ელექტრონული წიგნის საკითხავი მოწყობილობები) ხელი შეუწყოს მოსწავლეებში წიგნიერების განვითარებას.



ამოცანები:

- ✓ შეიქმნას წიგნიერების განვითარებისთვის დამხმარე სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს საინტერესო საკითხავი წიგნების წვდომას არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ გახმოვანებული ტექსტების თვალსაზრისითაც და ამავე დროს მასალა ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის გარეშე; ეს სერვისი გათვალისწინებულია როგორც უმცირესობათა წარმომადგენლობისათვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად კომპიუტერთან მუშაობა. ვინაიდან საკითხავი ტექსტები სამენოვანია, აუდიოვერსიების მოხმარება შეეძლება როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე უმრავლესობის წარმომადგენლებს.
- ✓ არსებული ვებგვერდის (www.reading.ge) დახვეწა და გამდიდრება აუდიოტექსტებით;
- ✓ ელექტრონული წიგნის შექმნა სხვადასხვა თანამედროვე პლატფორმებისთვის (Apple, Amazon Kindle და სხვა EPUB ფორმატის ელექტრონული წიგნების წამკითხველი მოწყობილობებისთვის).
- ✓ ქართული ენის პოპულარიზაციის, შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - ენის შემსწავლელისთვის თანამედროვე მეთოდებითა და საშუალებებით მიწოდება.

პროექტის ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

✓ **მასალის გახმოვანება**

ვებგვერდზე (www.reading.ge) განთავსებული დონეებად დაყოფილი 416 ტექსტის გახმოვანება; აუდიომასალის ინტეგრირება ვებგვერდზე ტექსტთან სინქრონში.

✓ **პროგრამული მოდულის შექმნა სხვადასხვა პლატფორმაზე საკითხავი და მოსასმენი ტექსტების წვდომის ინტერნეტის გარეშე უზრუნველსაყოფად**

შექმნა პროგრამული მოდული, რომლის საშუალებითაც ხდება არსებული ელექტრონული მასალის კონვერტაცია ელექტრონულ წიგნებად, რომელიც თავსებადია Apple, Amazon Kindle და სხვა EPUB ფორმატის ელექტრონული წიგნების წამკითხველ მოწყობილობებთან და ამ წიგნებს მოწყობილობებში გახდის ხელმისაწვდომს იმ შემთხვევაშიც კი როდესაც მოწყობილობას არ აქვს ინტერნეტთან წვდომა. პროგრამა ინტეგრირებულია მოსწავლეთა ბუკებში და ყველა მოსწავლისთვისაა ხელმისაწვდომი. პროგრამის CD ვერსია აგრეთვე დაურიგდათ სკოლებს (2100 ეგზემპლარი) და მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეებს (1000 ეგზემპლარი).



✓ **პროექტის ფარგლებში შემუშავებული პროდუქტების პრეზენტაცია და სამიზნე ჯგუფებისთვის მოხმარების წესების გაცნობა**

პროექტის შედეგების გასაცნობად და გამოყენების წესების გასაცნობად შეხვედრები ჩატარდა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რაიონულ ცენტრებში), ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, უმცირესობათა და უნარშეზღუდულთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

✓ **დაწყებითი კლასის მასწავლებელთათვის საქართველოს ყველა რეგიონში და თბილისში ტრენინგ-შეხვედრის ორგანიზება**

შემუშავებული პროდუქტის სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოყენების მიზნით სულ გაიმართა 12 ტრენინგი. თითო ტრენინგს დაესწრო რეგიონის 30 დაწყებითი კლასის მასწავლებლები და საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მეთოდისტები. მომზადებული მეთოდისტები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ მომავალში ინფორმაციის გავრცელებას სხვა მასწავლებელში და მათ დახმარებას შემუშავებული პროდუქტის სასწავლო პროცესში ჩართვის თვალსაზრისით.

მოსალოდნელი შედეგები

- პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში მოსწავლეებში წიგნიერების განვითარებას;
- ხელმისაწვდომი გახდება თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კითხვის პროგრამები, რაც უფრო სახალისოს, საინტერესოს და ეფექტურს გახდის კითხვის პროცესს;
- ხელმისაწვდომი გახდება აუდიოტექსტები კითხვის უნარების განსავითარებლად და კითხვის სისწრაფის გასაუმჯობესებლად;
- ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა ინფორმაციული თუ მხატვრული ტექსტები მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის;
- ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეების შეძლებენ ქართულ ენაში არა მხოლოდ კითხვის, არამედ მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას;
- მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კითხვის უნარების ეფექტურად განვითარების შესახებ;
- მოხდება უფრო აქტიურად ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში წიგნიერების განსავითარებლად.

მეტი ინფორმაცია

<http://www.reading.ge>

<https://www.facebook.com/reading.ge>

პროექტი

„ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის“

დონორი
ორგანიზაცია

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)
ევროკავშირი

პროექტის განხორციელების წლები: 2014-2015

პროექტის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა გაძლიერება მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში ჩართვის გზით.

პროექტის ამოცანები:

- უმცირესობის სკოლებში ცნობიერების ამაღლება მიმდინარე განათლების რეფორმისა და მისი მოსალოდნელი პოზიტიური შედეგების შესახებ, მათთვის საინფორმაციო მასალების მიწოდებითა და დისკუსიების ინიცირებით იმის შესახებ თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ისინი თავიანთი პროფესიული განვითარების გზაზე.
- ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის, მასწავლებელთა ახალი სტანდარტის შეთავაზების გზით.
- არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მასწავლებელთა შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვის გზით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

- ✓ "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა. შეხვედრების მიზანი იყო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისათვის მაწავლებელთა ახალი სტანდარტისა და პროფესიული განვითარების ახალი სქემის გაცნობა და მათგან რეკომენდაციების მიღება.



სულ გაიმართა **16 საინფორმაციო შეხვედრა**

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. თითოეულ რაიონში შეხვედრას დაახლოებით 50 მასწავლებელი, სკოლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელი ესწრებოდა არაქართულენოვანი სკოლებიდან. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ რაიონებში: გარდაბანში, გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოში, ბოლნისის რაიონის სოფ. ქვემო ბოლნისსა და

ნახიდურში, დმანისში, მარნეულში და მარნეულის რაიონის სოფლებში - სადახლოსა და შაუმიანში, წალკაში, ნინოწმინდაში და ნინოწმინდის რაიონის სოფლებში - განძასა და გორელოვკაში, ახალქალაქში და ახალქალაქის რაიონის სოფლებში - ვაჩიანსა და ბარალეთში, ახალციხეში.

მასწავლებელთა ახალი პროფესიული სტანდარტის მიზანია შემოიტანოს სკოლებში მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას.

შეხვედრებზე მასწავლებლებს დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები მასწავლებელთა ახალი სტანდარტისა და პროფესიული განვითარების ახალი სქემის შესახებ, რომლებიც აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც ითარგმნა.

- ✓ CCIIR - მა მოამზადა საინფორმაციო შეხვედრების შემაჯამებელი ვიდეო კოლაჟი და მასში ნაჩვენებია შეხვედრების დროს გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები/რეკომენდაციები:

<https://www.dropbox.com/s/8gseti0erbxy7ve/video-collage.wmv?dl=0>

- ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დაინტერესებულ მხარეებთან მოეწყო პირველი მრგვალი მაგიდა, სადაც პროექტის მიზნები და ამოცანები დეტალურად განიხილეს.
- ✓ მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც წარმოდგენს საქართველოში არსებული არაქართულენოვანი სკოლებისა და იქ დასაქმებული მასწავლებლების მდგომარეობის ანალიზს, ქვეყანაში განხორციელებული ინტერვენციების მიმოხილვას როგორც ზოგადად მასწავლებლების, ასევე არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების კუთხით, არსებული პრობლემების განხილვასა და რეკომენდაციებს არსებული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გამოცემა უკვე პროექტის მომდევნო ეტაპზე, 2015 წელსაა დაგეგმილი.

- ✓ მასწავლებელთა გენდერული ტრენინგისთვის, რომელიც პროექტის მომდევნო ეტაპზე, 2015 წელს ჩატარდება, მომზადდა ტრენინგ პროგრამა და განისაზღვრა ტრენინგის შინაარსობრივი სტრუქტურა და მეთოდოლოგია. ასევე მომზადდა და ითარგმნა ყველა საჭირო მასალა სატრენინგო სესიებისთვის.

გენდერული ტრენინგის მიზანია, განათლების ეროვნული და რეგიონული დონის პრაქტიკოსების გენდერული ცნობიერებისა და მგრძნობელობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტრენინგის მონაწილეების მიერ განათლების პროცესში არსებული გენდერული უთანასწორობის გააზრებას და ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავებას სასწავლო პროცესში გენდერული მიდგომების დანერგვისა და გენდერულად კორექტული სასკოლო გარემოს მისაღწევად.

პროექტი

„მულტილინგვური განათლების მასწავლებელთა მომზადების
პროგრამის შემუშავება და დანერგვა უკრაინისა და საქართველოს
უნივერსიტეტებში“ DIMTEGU

დონორი

ევროკომისიის ტემპუსის პროგრამა (TEMPUS)

ორგანიზაცია

პროექტის განხორციელების წლები: 2013-2015

პროექტ DIMTEGU-ის ზოგადი მიზანია საქართველოსა და უკრაინაში მულტილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები

- საქართველოსა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების უზრუნველყოფა საბაკალავრო, სამაგისტრო და მასწავლებელთა სერტიფიცირებული მომზადების მულტილინგვური განათლების პროგრამებით.
- საქართველოსა და უკრაინის საჯარო სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციური პედაგოგებითა და სასწავლო მასალებით გლობალიზაციის თანმდევი და ადგილობრივი გამოწვევების შესახვედრად.
- ბოლონის პროცესის შესაბამისად, პროგრამების, სილაბუსებისა და სასწავლო მასალის მომზადება საქართველოსა და უკრაინის სკოლებისთვის მულტილინგვური განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და მასწავლებელთა გადამზადების სერტიფიცირებული პროგრამების ფარგლებში.
- საქართველოსა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა მომზადება მულტილინგვური/მულტიკულტურული სწავლების უახლეს მეთოდებსა და სტრატეგიებში.
- საქართველოსა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების აღჭურვა სასწავლო მასალითა (მათ შორის – ნათარგმნი სახელმძღვანელოებითა და რეგულარულად გამომავალი საერთაშორისო ჟურნალით) და ტექნიკით.

სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები

- 6 უმაღლესი სასწავლებელი საქართველოდან და უკრაინიდან
- 36 პირი (აკადემიური პერსონალი) განათლების, ჰუმანიტარული, სოციალური (ფსიქოლოგიის) მიმართულებით ამ 6 უმაღლესი სასწავლებლიდან
- 400 მოქმედი მასწავლებელი საქართველოსა და უკრაინის სკოლებში
- 60 ბაკალავრი საქართველოსა და უკრაინიდან
- 40 მაგისტრი საქართველოსა და უკრაინიდან

მიმდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომელიც ითვალისწინებდა 150 მასწავლებლის გადამზადებას არაქართულენოვანი სკოლებიდან (ჯგუფები დაკომპლექტდა ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებიდან). სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ტრენინგები მუშაობდნენ მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სკოლის დაწყებითი კლასებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებთან.



მასწავლებელთა ტრენინგები, ნინოწმინდა, 2014

მსმენელებმა გაიარეს მოდული: „ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები“. კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს

- ეცოდინებათ ბილინგვური განათლების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები
- ეცოდინებათ ბილინგვურ კლასში როგორც საგნობრივი, ასევე ენობრივი კომპონენტის (მეორე ენის) სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები
- მეთოდიკურად გამართულად შეძლებენ ბილინგვურ კლასში ენისა და საგნობრივი კომპონენტის ინტეგრირებულ სწავლებას და ადეკვატური შეფასების სისტემის გამოყენებას
- განუვითარდებათ, პრეზენტაციის მომზადებისა და წარმოდგენის უნარები
- განუვითარდებათ დამოუკიდებლად მცირე კვლევის ჩატარების უნარი
- განუვითარდებათ ჯგუფური პროექტის შესრულების უნარი

ტრენინგების კურსი მოიცავდა 9 დღეს (45 საკონტაქტო საათი) ყოველი კვირის პარასკევი-შაბათ-კვირას. მე-10 დღე (5 სთ) კი დაეთმო პოსტ-ტესტირებას მიღებული შედეგების გადამოწმებისა და სერტიფიკატის გაცემის მიზნით.

- ✓ გამოვიდა “მულტილინგვური განათლების საერთაშორისო ჟურნალის“ 3 ნომერი ინგლისურად, ქართულად და უკრაინულად <http://www.multilinguaeducation.org/>
- ✓ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამისთვის ლიტერატურის თარგმანს, კერძოდ შემდეგი სახელმძღვანელოების ქართულენოვანი ვერსიების გამოცემას:

1. Human Learning (7 th Edition) by Jeanne Ellis Ormrod, Publisher Peason
2. Robert E. Slavin. Education Psychology, Theory and Practice .10 edition (2011)

3. Action Research: A Guide for the Teacher Travelling the yellow brick road
4. Coyle, D., Hood, P., Marsh, D. (2010): Content and language integrated learning (CLIL). Cambridge: Cambridge University Press
5. Mehisto, P., Marsh, D., Frigols, M. (2008): Uncovering CLIL: Content and Language Integrated Learning in Bilingual and Multilingual Education. Oxford: McMillan
6. Cummins, J., Swain, M. (1992). Bilingualism in Education. Harlow: Longman
7. Creating Literacy Instruction for All Students, Thomas G. Gunning, Pearson; 8th edition
8. Introducing Second Language Acquisition (Cambridge Introductions to Language and Linguistics) by Professor Muriel Saville-Troike (Edition: 2nd)
9. Differentiated Instructional Strategies in Practice: Training, Implementation, and Supervision Gayle H. Gregory (Author)
10. Teaching 101: Classroom Strategies for the Beginning teacher by Jeffrey G. Glanz
11. Stephanie L. McAndrews, Diagnostic Literacy Assessments and Instructional Strategies: A Literacy Specialists Resource, 2008, International Reading association Inc.
12. Hughes, Arthur (2003). Testing for Language Teachers. Cambridge University Press

CCIIR მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოები 2015 წლის სექტემბრიდან იქნება ხელმისაწვდომი, რაც უმნიშვნელოვანესი რესურსი იქნება მასწავლებელთა განათლების პროგრამებისთვის.

პროექტის პარტნიორია თორმეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, ლატვიიდან და ლიტვიდან. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ გარდა, საქართველოს მხრიდან კონსორციუმში ჩართულნი არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (კონსორციუმის ხელმძღვანელი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტის ფარგლებში მუშავდება მულტილინგვური განათლების სამაგისტრო პროგრამა, რომლის ფუნქციონირების დაწყებაც, აკრედიტაციის შემდგომ, 2015 წლიდან ივარაუდება. ამავე პროექტის ფარგლებში ივარაუდება საბაკალავრო პროგრამის პილოტირების დაწყება (პროგრამამ უკვე გაიარა აკრედიტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში) და მოქმედ მასწავლებელთა გადამზადება მულტილინგვური განათლების მიმართულებით, რომელიც შემუშავებულია კონსორციუმის მიერ შედგენილი პროგრამების საფუძველზე.

მეტი ინფორმაცია

<http://dimtegu.tsu.ge/>

პროექტი

„მულტიკულტურული განათლებისა და მრავალფეროვნების
სწავლების საერთაშორისო კურსკულუმის შექმნა“ (DOIT)

დონორი

ევროკომისიის ტემპუსის პროგრამა (TEMPUS)

ორგანიზაცია

პროექტის განხორციელების წლები: 2013-2015

ტემპუსის პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია ჩართულია პროექტის „მულტიკულტურული განათლებისა და მრავალფეროვნების სწავლების საერთაშორისო კურსკულუმის შექმნა“ (DOIT) განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს მულტიკულტურული განათლების ჩართვას მასწავლებელთა განათლების პროგრამებში საქართველოსა (თსუ, ილიაუნი, სოხუმის, სამცხე-ჯავახეთის და თელავის უნივერსიტეტები) და ისრაელის უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი ეხმარება საქართველოს ხუთ უმაღლეს სასწავლებელს მულტიკულტურული განათლების სასწავლო პროგრამის შექმნაში და მრავალფეროვნების წამახალისებელი საუნივერსიტეტო გარემოს უზრუნველყოფაში.

პროექტის პირველი ეტაპი გულისხმობს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისა და მოქმედი ლექტორებისთვის, სამიზნე რეგიონების კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით, ისეთი კურსების შექმნას/დანერგვას, რომლებიც მხარს უჭერენ მულტიკულტურულ განათლებასა და ადამიანის უფლებებს. თითოეული კურსი მოიცავს შესაბამის სილაბუსებს, სასწავლო მასალებს, გაკვეთილის გეგმას და სხვა.

ამ მიმართულებით CCIIR - მა შეიმუშავა **ბავშვთა უფლებების შესახებ სასწავლო კურსი და სასწავლო მასალა**, რომელმაც პილოტირება გაიარა საქართველოში პროექტის სამიზნე 5 უმაღლეს სასწავლებელში (თსუ, ილიაუნი, სოხუმის, სამცხე-ჯავახეთის და თელავის უნივერსიტეტები).

სასწავლო კურსი ორიენტირებულია, რომ განათლების გზით და განათლების სისტემაში მოხდეს ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა და ზრუნვა, რადგანაც სწორედ ბავშვთა და ადამიანთა უფლებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას მულტიკულტურულ საზოგადოებაში და მზარდ გლობალიზებულ სამყაროში.

აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს:

- შემეცნებითი და ექსპერიმენტული მიდგომის უზრუნველყოფას ბავშვთა უფლებების სწავლებაში.
- სადისკუსიო სივრცის შექმნას ბავშვთა უფლებების შესახებ რათა ეს თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები გახდეს განათლების სპეციალისტებისა და განათლების მიმართულების სტუდენტების მუშაობის მნიშვნელოვანი კომპონენტი.
- სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას მათი პასუხისმგებლობისა და როლის შესახებ ბავშვთა უფლებების მხარდაჭერასა და დაცვაში.

- სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას მულტიკულტურალიზმისა და ადამიანის/ბავშვთა უფლებების ურთიერთკავშირის შესახებ.
- ბავშვთა უფლებების შესახებ კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობას.

პროექტის მომდევნო ეტაპზე სხვა სასწავლო კურსების შემუშავებასა და დანერგვასთან ერთად დაგეგმილია ფაკულტეტის წარმომადგენლების ვორქშოფები, გარე საუნივერსიტეტო ღონისძიებები სტუდენტებისთვის ინტერკულტურული ურთიერთობების მხარდასაჭერად და **DOIT** - ის ვებ-პორტალის განვითარება კონსორციუმის წევრების ერთობლივი მუშაობისა და პროექტის ცნობადობისთვის.

პროექტი

"მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში"

დონორი

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

ორგანიზაცია

პროექტის განხორციელების წლები: 2014-2015

როგორც აღვნიშნეთ ევროკავშირის პროგრამა ტემპუსის „მულტიკულტურული განათლების კურიკულუმის განვითარება“ (DOIT) პროექტში, რომელიც ითვალისწინებს მულტიკულტურული ასპექტების ასახვას მასწავლებელთა განათლების როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებში, 5 უმაღლესი სასწავლებელია ჩართული. 3 უმაღლესი სასწავლებელი - ქუთაისი, ბათუმი და გორი ამ თვალსაზრისით ცალკეა დარჩენილი. აქვე აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე სტუდენტთა დიდი რაოდენობით სწორედ ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტები გამოირჩევა და სწორედ ამ უნივერსიტეტებში სწავლობენ მიზნობრივი ჯგუფები ყველაზე დიდი რაოდენობით. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ ინტერკულტურული მგრძნობელობა ყველაზე დაბალი სწორედ გორის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებს გააჩნიათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ უნივერსიტეტების მხარდაჭერა, რათა მათს მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ასახული იყოს მულტიკულტურული განათლების ასპექტები და ისინი უზრუნველყოფდნენ მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებას საკუთარი სტუდენტებისათვის.

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია მომავალი მასწავლებლების მომზადება მაღალი მულტიკულტურული მგრძნობელობითა და მრავალფეროვანი კლასის მართვისა და სწავლების უნარებით უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების გაუმჯობესების გზით.

პროექტის ამოცანები

- მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ინტერკულტურული ასპექტების ასახვა;
- პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სტუდენტებში მულტიკულტურული მგრძნობელობის და ტოლერანტობის განსავითარებლად უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების გადამზადების გზით ინტერკულტურული სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებზე;
- მულტიკულტურული განათლების კურსის/ მოდულის შექმნა მასწავლებელთა განათლების პროგრამებისთვის სამ უმაღლეს სასწავლებლებში;
- საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა ინტერკულტურული ღონისძიებების ორგანიზების გზით;

პროექტის განხორციელების გზები

1. მასწავლებელთა განათლების პროგრამების დახვეწა მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით

ამ მიმართულებით პროექტის საექსპერტო ჯგუფი აქტიურად იმუშავებს უნივერსიტეტების მასწავლებელთა პროგრამების ლექტორებთან და ხარისხის მართვის წარმომადგენლებთან, რათა მასწავლებელთა ახალი სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდეს მასწავლებელთა განათლების პროგრამების დახვეწა შემდეგი მიმართულებებით: (ა) მასწავლებელთა განათლების პროგრამების სილაბუსებში მულტიკულტურული განათლების სტრატეგიების ასახვა. ამ მიმართულებით სხვადასხვა საგნის სწავლების მეთოდის (ქართული ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, მეორე ენა, უცხო ენა და ა.შ), თუ ზოგადად სწავლების მეთოდების მიმართულების საგნებში მოხდება მულტიკულტურული განათლების მიდგომების ასახვა; (ბ) შემუშავდება მულტიკულტურული განათლების მოდული, რომელიც მოიცავს 3 სილაბუსს და მათ შესაბამის სასწავლო ლიტერატურას (რიდერებს). ივარაუდება შემდეგი სილაბუსების და მათი რიდერების შემუშავება: 1) მულტიკულტურული განათლება; (2) საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება და მისი გავლენა სწავლა-სწავლების პროცესზე; (3) პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში... შემუშავებული სილაბუსების ჩარჩოებს თითოეული უნივერსიტეტი დაამუშავებს საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით. (გ) მასწავლებელთა განათლების პროგრამების სასწავლო პრაქტიკის დახვეწა და სტუდენტთა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში პრაქტიკით უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება

2. მასწავლებელთა განათლების პროგრამების პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

სამუშაო შეხვედრების ორგანიზება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლებისათვის (თითო უნივერსიტეტიდან - თითო წარმომადგენელი ხარისხის მართვის სამსახურისა და 3 - მასწავლებელთა განათლების პროგრამიდან) ინტერკულტურული სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებზე. სამუშაო შეხვედრები შემდეგ საკითხებს მოიცავს: (1) მულტიკულტურული განათლების არსი, მიზნები და საჭიროებები საქართველოს რეალობაში; (2) მასწავლებელთა განათლების პროგრამებში მულტიკულტურული განათლების ასახვის ინსტრუმენტები (მულტიკულტურული განათლების კომპეტენციები, ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, მულტიკულტურული განათლების სტრატეგიების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კულტურულად მრავალფეროვანი კლასის მართვის უნარი); (3) როგორ შევადგინოთ კულტურულად რელევანტური სასწავლო სილაბუსები და სასწავლო რესურსები. სამუშაო შეხვედრა გაგრძელდება 3 დღეს.

3. საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთაშორისი ინტერკულტურული ღონისძიებების ორგანიზება

პროექტის ფარგლებში ჩატარდება 6 ინტერკულტურული ღონისძიება. პროექტის დააფინანსებს უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციული პერსონალის თუ ლექტორების მიერ ინიცირებულ კულტურულ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო გარემოში

მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის წახალისებას. განსახორციელებელი პროექტები შეირჩევა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით და მის დახვეწასა და განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.

მოსალოდნელი შედეგები

- პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ინტერკულტურული ასპექტების ასახვა გორის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში;
- ამაღლდება მასწავლებელთა განათლების პროგრამების 12 პროფესორ-მასწავლებლის კვალიფიკაცია სტუდენტებში მულტიკულტურული მგრძნობელობის და ტოლერანტობის განსავითარებლად;
- შეიქმნება და დაინერგება მულტიკულტურული განათლების სამი კურსი საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში;
- ჩატარდება 6 კულტურული ღონისძიება და გაიზრდება საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის გარემო;

CCIIR - ის მიერ 2014 წელს განხორციელებული სხვა აქტივობები



1. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოში „მშვიდობის კორპუსის“ მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გამართულ ღონისძიებაში. ასეთი შეხვედრა ყოველწლიურად იმართება და გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ თავიანთი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოფენას. გამოფენაში 13 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა.


ღონისძიების მიზანი იყო ორგანიზაციების ურთიერთ გაცნობა, თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების გაცვლა/გაზიარება, ურთიერთობების გაღრმავება და სამომავლო თანამშრომლობის განვითარება.

2. CCIIR - მა "მშვიდობის კორპუსის" პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ მოხალისეს უმასპინძლა. მოხალისე 6 თვის განმავლობაში მუშაობდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრში და აქტიურად იყო ჩართული ორგანიზაციის საქმიანობაში. იგი მონაწილეობას იღებდა CCIIR - ის პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მშვიდობის კორპუსის მოხალისემ ასევე მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის განვითარების გეგმის შემუშავებაში. ეს იყო ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება როგორც ორგანიზაციის, ისე ამერიკელი მოხალისეს მხრიდან.



"მშვიდობის კორპუსი" აშშ - ს მთავრობის არაპოლიტიკური, არამომგებიანი და არარელიგიური ორგანიზაციაა, რომელიც 1961 წელს პრეზიდენტ ჯონ კენედის ინიციატივით დაფუძნდა. "მშვიდობის კორპუსი" საქართველოში 2001 წელს შემოვიდა. მას შემდეგ, საქართველოში 300-ზე მეტმა მოხალისემ იმსახურა. კვალიფიციური ადამიანური რესურსების გამოყენების გზით, "მშვიდობის კორპუსი" ქვეყანაში სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე საქართველოსა და ამერიკას შორის მეგობრობის გაღრმავებას უწყობს ხელს.

ორგანიზაციული სტრუქტურა



პარტნიორები და დონორი ორგანიზაციები

1. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი OSCE HCNM
2. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID
3. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი
4. გაეროს ქალთა ფონდი
5. საქართველოს გაეროს ასოციაცია
6. ევროკავშირის ტემპუსის პროგრამა
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
8. სახალხო დამცველის ოფისი
9. ევროპის საბჭოს ენობრივი განყოფილება
10. ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო
11. შვეიცარული არასამთავრობო ორგანიზაცია CIMERA
12. ლატვიური ენის შესწავლის სააგენტო (LVAVA)
13. არასამთავრობო ორგანიზაცია “Prodidactica”, მოლდავეთი
14. ევრაზიის პარტნიორობის ფონდი
15. ურბანული ინსტიტუტი
16. ღია საზოგადოების ინსტიტუტი, პროგრამა ”აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი”
17. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
18. ორგანიზაცია ”სკოლა,ოჯახი,საზოგადოება”
19. ბოლნისის ენის სახლი
20. უმცირესობათა საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI)
21. ორგანიზაცია ”ქალები-ჯავახეთის მომავლისათვის”
22. ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაცია ”ალანელი”
23. აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი
24. ახალგაზრდა რესპუბლიკური ინსტიტუტი
25. თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის
26. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ განვიხილოთ და გავიზიაროთ თქვენი წინადადებები, მოსაზრებები, ახალი იდეები. მომავალში, დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ სიამოვნებით მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენი ორგანიზაციის სამომავლო გეგმების/პროექტების შესახებ.

დაგვიკავშირდით:

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“

0179 თბილისი, საქართველო ე. ტატიშვილის (ყოფილი ყაზბეგის) ქუჩა 19/54

ტელ/ფაქსი: (995-32) 23 32 74

www.cciir.ge;

E-mail: info@cciir.ge

შალვა ტაბატაძე – ხელმძღვანელი

+995 91 305955 stabatadze@cciir.ge

ნათია გორგაძე – პროექტების მენეჯერი

+995 99 390495 ngorgadze@cciir.ge

